

რა არის აუტიზმი

მოკლე სახელმძღვანელო მშობლებისა და პირველადი ჯანდაცვის სისტემის ექიმებისთვის მომზადებულია ა.ლაჭყვიანიის სახ. საქართველოს ბავშვთა ნევროლოგთა და ნეიროქირურგთა ასოციაციის მიერ, 2009 წელი

რა არის აუტიზმი?

განვითარების დარღვევათა ჯგუფში შემავალი აუტისტური სპექტრის აშლილობათაგან აუტიზმი ყველაზე ცნობილი და გავრცელებული ქცევითი დარღვევაა. მისი კლინიკური გამოვლინება იწყება 3 წლის ასაკამდე. მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა შემთხვევაში სიმპტომები და სიმძიმე შეიძლება სხვადასხვა იყოს, აუტიზმის მქონე ყველა ბავშვს აქვს კომუნიკაციისა და ურთიერთობის პრობლემა.

აშშ-ში 1000-დან 3-6 ბავშვი აუტიზმით არის დაავადებული. დიაგნოსტირებული შემთხვევების რაოდენობა კი სულ უფრო იზრდება (უკანასკნელი, 2009 წლის ოქტომბრის მონაცემებით ავადმყოფობის გავრცელების სიხშირემ 1%-ს გადააჭარბა). თუმცა, დადგენილი არ არის დაავადებულთა რაოდენობის ზრდა დიაგნოსტიკის გაუმჯობესებას უკავშირდება, რეალურ მატებას თუ ორივეს ერთდროულად.

ჯერ-ჯერობით არ არსებობს აუტიზმისგან განკურნების საშუალება, ის ქრონიკული მდგომარეობაა, მაგრამ ადრეული ჩარევა მნიშვნელოვნად აადვილებს აუტიზმის მქონე ბავშვისა და მისი მშობლების ცხოვრებას.

რა არის აუტიზმის ნიშნები?

აუტიზმი პრობლემებს ქმნის 3 სფეროში: **სოციალური** ურთიერთობის სფეროში - ფიზიკური (ხელის ჩაკიდება, ჩახუტება, მოფერება) და ვერბალური (დიალოგი) პრობლემები.

კომუნიკაციის სფეროში – როგორც ვერბალური (სამეტყველო), ასევე არავერბალური (ჟესტები, მიმიკა) პრობლემები.

ქცევით სფეროში – სიტყვების ან მოქმედებების გამეორება, ერთი და იმავე მიმდევრობის ან აკვიატებული სქემის დაცვით.

აუტიზმის ყოველი კონკრეტული შემთხვევა მკვეთრად ინდივიდუალურია. ზოგი ბავშვი მის ნიშნებს ადრეული ჩვილობის ასაკში ავლენს, ზოგი კი მოგვიანებით. განვითარება შეიძლება ნორმალურად მიმდინარეობდეს რამდენიმე თვე ან წელიც კი და ბავშვმა მოგვიანებით დაკარგოს მანამდე არსებული მეტყველების უნარი და გახდეს აგრესიული. თითოეული შემთხვევის უნიკალურობის მიუხედავად, აუტიზმით დაავადებულ ბავშვებს ახასიათებთ საერთო, მსგავსი დარღვევები:

სოციალური უნარ-ჩვევების დარღვევა: ამ შემთხვევაში ბავშვს:

- o სახელის დამახეხაზე რეაქცია არა აქვს;
- o თვალბრუნებით კონტაქტს ვერ ამყარებს;
- o თითქოს არ ესმის;
- o ეწინააღმდეგება ჩახუტებას და ხელში აყვანას;
- o სხვის ემოციებს ვერ ხვდება;
- o ამჯობინებს მარტო თამაშს – თითქოს “ჩაკეტილია საკუთარ სამყაროში”.

მეტყველების დარღვევა: ამ შემთხვევაში ბავშვი:

- o გვიან იწყებს ლაპარაკს;
- o კარგავს მანამდე ნასწავლი სიტყვების ან წინადადებების გამოყენების უნარს;
- o ურთიერთობის დროს არ ამყარებს თვალბრუნებით კონტაქტს;
- o ლაპარაკობს არაზუნებრივ, უჩვეულო ტონსა და რიტმში (წამლერებით ან რობოტიკით);
- o არ იწყებს და არც ერთვება დიალოგში;
- o შეუძლია სიტყვების ან ფრაზების გამეორება, მაგრამ არ იცის როგორ გამოიყენოს ისინი.

ქცევის დარღვევა: ამ შემთხვევაში ბავშვი:

- o **ასრულებს** განმეორებით მოძრაობებს, როგორცაა ტრიალი, რწევა, ტაშის დაკვრა;
- o **აქვს** სპეციფიკური რიტუალები და რეჟიმი;
- o **ძალიან წუხს**, როცა ირღვევა მისი რეჟიმი და რიტუალები;
- o **მუდმივად** მოძრაობს;
- o **შეიძლება** დიდი ხნით მოინუსხოს საგნის რომელიმე ნაწილით, მაგ.: სათამაშო მანქანის მბრუნავი ბორბლით;
- o **შეიძლება** მგრძობიარე იყოს სინათლეს, ხმაურსა და შეხებაზე, მაგრამ იშვიათად - ტკივილზე.

აუტიზმი ძირითადად სოციალური ურთიერთობის დარღვევით ვლინდება. მშობლები პირველები ამჩნევენ აუტიზმის ნიშნებს. ბავშვი ჩვილობის ასაკიდანვე შეიძლება არ რეაგირებდეს ადამიანებზე ან შეიძლება ვითარდებოდეს ნორმალურად და შემდეგ შეწყვიტოს განვითარება და გახდეს სოციალურად ინდიფერენტული.

აუტიზმის მქონე ბავშვი საკუთარ სახელზე ნაკლებად რეაგირებს და თავს არიდებს თვალებით კონტაქტს. უჭირს სხვისი ემოციების აღქმა, რადგან ვერ იგებს სოციალურ მინიშნებებს, როგორცაა მეტყველების დროს ტონის ან სახის გამომეტყველების ცვლილება, რადგან ადამიანებს სახეზე არც უყურებს და არც იცის შესაბამისი ქცევა. არა აქვს თანაგრძნობის უნარი.

ბევრ მათგანს აქვს განმეორებითი ერთიდაიგივე მოძრაობები (ბრუნვა, ტრიალი, რხევა, ხელების ქნევა) ან თვითდამაზიანებელი ქცევა (კბენა, თავის რტყმევა). გვიან იწყებს ლაპარაკს და ხშირად საკუთარ თავს მოიხსენიებს მესამე პირში (და არა როგორც "მე"-ს). უჭირს სხვა ბავშვებთან თამაში. ლაპარაკობს მხოლოდ შეზღუდული რაოდენობის თემებზე ისე, რომ არც აინტერესს მოსაუბრის აზრი.

ხშირად, დაქვეითებული აქვს ტკივილის შეგრძნება, სამაგიეროდ მძაფრად რეაგირებს ხმაურზე, შეხებაზე ან სხვა სტიმულზე. ეს არაბუნებრივი რეაქციები გამოიხატება მის ქცევაშიც, ჩახუტებასა ან ხელში აყვანაზე წინააღმდეგობის გაწევაში.

აუტიზმის მქონე ზოგი ბავშვი ზრდა-განვითარებასთან ერთად სწავლობს სხვებთან ურთიერთობას და ქცევაც უუმჯობესდება. ისინი, ვისაც ნაკლებად მძიმე პრობლემები აღენიშნებათ, ცხოვრობენ ნორმალური ან თითქმის ნორმალური ცხოვრებით. ზოგს, პირიქით, უმძიმდება მეტყველების და სოციალური უნარ-ჩვევების პრობლემები და ამას მოზარდობის ასაკში ქცევის გაუარესებაც ემატება.

აუტიზმის მქონე ბავშვების უმეტესობა ახალ უნარ-ჩვევებს ძნელად ითვისებს, ნაწილს აქვს ნორმაზე დაბალი ინტელექტი, ნაწილს – ნორმალური ან მაღალიც. ასეთი ბავშვები ადვილად სწავლობენ, მაგრამ აქვთ ურთიერთობის, ცოდნის ყოველდღიურ საქმიანობაში გამოყენების და სოციალური ადაპტაციის პრობლემები. იშვიათ შემთხვევებში გვხვდება "აუტისტი გენიოსი", რომლსაც აქვს განსაკუთრებული ნიჭი მუსიკაში, მათემატიკაში ან სხვა რომელიმე სფეროში.

ხშირია ისეთი დარღვევების თანხლება, როგორცაა მყიფე X სინდრომი, ტუბეროზული სკლეროზი, ეპილეფსიური გულყრები, ტურეტის სინდრომი, სწავლის სიმძნელები და ყურადღების დეფიციტის სინდრომი. დაუდგენელი მიზეზის გამო აუტიზმის მქონე ბავშვების 20-30%-ს მოზრდილობის ასაკის მიღწევამდე ეპილეფსია უვითარდება.

რა იწვევს აუტიზმს?

დადგენილი არ არის აუტიზმის გამომწვევი ერთი, ყველა შემთხვევისთვის საერთო მიზეზი. მისი სირთულიდან და კლინიკური გამოვლინებათა მრავალგვარობიდან გამომდინარე მიზეზი ბევრია: მკვლევარებმა დაადგინეს აუტიზმის განვითარებაზე პასუხისმგებელი რამდენიმე გენი; გამოვლინდა თავის ტვინის რამდენიმე მიდამოს არათანაბრობა; არსებობს არცთუ უსაფუძვლო ვარაუდი სეროტონინისა და სხვა ნეიროტრანსმიტერების ანომალიური გადანაწილების შესახებ; ამ ანომალიების აღმოჩენის საფუძველზე გამოითქვა ვარაუდი, რომ გენური დეფექტი განაპირობებს თავის ტვინის ნორმალური განვითარებისა და ნეირონების ურთიერთკავშირის რეგულირების დარღვევას მუცლადყოფნის ადრეულ პერიოდში.

გენეტიკური დარღვევები

მკვლევარების მიერ აღმოჩენილი რამდენიმე გენიდან, ზოგი განაპირობებს აუტიზმისკენ ბავშვის განსაკუთრებულ მიდრეკილებას, ზოგი - გავლენას ახდენს თავის ტვინის განვითარებაზე ან თავის ტვინის უჯრედების ერთმანეთთან კავშირზე, ზოგი - განსაზღვრავს სიმპტომების სიმძიმეს. მათი წილი აუტიზმის შემთხვევებში არცთუ ისე მაღალია, მაგრამ მნიშვნელოვანია. ზოგი გენეტიკური ცდომა მემკვიდრულია, ზოგი კი - ვითარდება სპონტანურად.

გარემო ფაქტორები

როგორც ჯანმრთელობის ბევრი პრობლემა, აუტიზმიც გამოწვეულია გენეტიკური და გარემო ფაქტორების ერთობლიობით. აუტიზმის ვირუსულ ინფექციებთან და გარემოს ტოქსინებთან კავშირის დადგენა თანამედროვე კვლევების მიზანს წარმოადგენს.

სხვა მიზეზები

კვლევის სტადიაშია აუტიზმის განვითარებაზე ისეთი ფაქტორების ზეგავლენის დადგენა, როგორცაა ორსულობის და მშობიარობის პერიოდის პრობლემები, იმუნური სისტემის დარღვევები. ზოგიერთი ავტორის მოსაზრებით აუტიზმის განვითარების მიზეზს ამიგდალას (თავის ტვინის ნაწილი) დაზიანება წარმოადგენს.

ყველაზე ურთიერთგამომრიცხავი მოსაზრებები უკავშირდება აუტიზმის კავშირს წითელა-წითურა-ყბაყურას ვაქცინასთან. დღემდე ჩატარებული ინტენსიური კვლევებით აუტიზმსა და ვაქცინაციას შორის რაიმე კავშირი დადასტურებული არ იქნა.

რისკ-ფაქტორები

აუტიზმით შეიძლება დაავადდეს ნებისმიერი რასისა და ეროვნების ადამიანი, მაგრამ გარკვეული ფაქტორები ზრდის მისი განვითარების რისკს. **ესენია:**

ბავშვის სქესი - აღმოჩნდა, რომ ვაჟებს 3-4-ჯერ უფრო ხშირად აქვთ აუტიზმი, ვიდრე გოგონებს. ოჯახური ანამნეზი - ოჯახში, სადაც ერთი ბავშვი უკვე არის აუტიზმით ავად, განმეორების რისკი მაღალია. აღმოჩნდა, რომ აუტიზმის მქონე ბავშვის მშობლებსა და ნათესავებს ხშირად აქვთ სოციალური და კომუნიკაციური სფეროს პრობლემები ან აუტიზტური ქცევები.

სხვა დარღვევები - ზოგიერთი დაავადების დროს მაღალია აუტიზმის თანხლების ალბათობა. ასეთ მდგომარეობებს მიეკუთვნება მყიფე X სინდრომი, ტუბეროზული სკლეროზი, ტურეტის სინდრომი და ეპილეფსია.

მამის ასაკი - კვლევებით გამოიკვეთა, რომ მამის ასაკოვნება აუტიზმის რისკს ზრდის. ერთ-ერთი სერიოზული კვლევით >40 წ ასაკის მამებს 6-ჯერ უფრო ხშირად ჰყავთ აუტიზმის მქონე შვილები, ვიდრე <30 წ ასაკის მამებს. დედის ასაკთან მსგავსი კავშირი დადგენილი არ არის.

როდის მივმართოთ ექიმს?

ყოველი კონკრეტული ბავშვის განვითარება გარკვეული თავისებურებით მიმდინარეობს და შეიძლება არ ემთხვეოდეს სახელმძღვანელოში მითითებულს. თუ თქვენი ბავშვის ქცევა მოგცემთ იმის საფუძველს, რომ ეჭვი შეიტანოთ მის ჯანმრთელობაში, მიმართეთ სპეციალისტს. რაც ადრე დაიწყება მკურნალობა, ის მით უფრო ეფექტურია.

თქვენმა ექიმმა შეიძლება საჭიროდ ჩათვალოს ბავშვის შეფასება, თუ ის:

- o 12 თვის ასაკისთვის არ ტიტინებს
- o 12 თვის ასაკისთვის არ იყენებს ჟესტებს (თითით მინიშნება, დასამშვიდობებლად ხელის დაქნევა)
- o არ ამბობს არცერთ სიტყვას 16 თვისთვის
- o არ ამბობს ორსიტყვიან ფრაზას 24 თვისთვის (გამეორება არ იგულისხმება)
- o გარკვეულ ასაკში დაკარგა მანამდე შეძენილი სამეტყველო და სოციალური უნარ_ჩვევები